მარცხი ერევანში

ერევანი. ცენტრალური სტადიონი. 8 მაისი. ცვალებადი მოღრუბლულობა. 20 გრადუსი. 25 000 მაყურებელი.

“არარატი” (ერევანი) _ “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

გოლი: ეგიაზარიანი (71)

“არარატი”: აბრამიანი, სეროფიანი, ავეტისიანი, სიომინი, იუმაკულოვი, კოვა-ლენკო, ვიუნი, გალსტიანი, ეგიაზარიანი, ოვივიანი, ზიროიანი (აბრამიანი 87).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, იამანიძე, ხუციშვილი, მაისურაძე (ასათიანი 75), ბარქაია, დათუნაშვილი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი); გვერდითი მსაჯები ვ. ჩიჟი და გრიშინი (ყველა მინსკი).

დუბლიორები _ 2:0 “არარატის” სასარგებლოდ.

ბრალი იმაში, რომ თბილისის “დინამომ” კიდევ 2 ქულა დაკარგა წლევანდელ ჩემპიონატში, მეტწილად გუნდის თავდასხმას მიუძღვის, რომელმაც მთელი მატჩის განმავლობაში ვერ შეძლო ეთამაშა ნამდვილი შეტევით, ხელთ აეღო ინიციატივა, შეექმნა რეალური საშიშროება “არარატის” კარისთვის. ორი-სამი მომენტი უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში თბილისელები მინდვრის შუაგულში იბრძოდნენ, საიდანაც ვერაფრით ვერ გამოიძებნა გზა მეტოქის დაცვის გასარღვევად. ჩვენი გუნდის წინა ხაზზე არ ჩანდა მოთამაშე, იერიშის ლიდერი, რომელიც საჭიროებისამებრ განაგებდა პარტნიორების მოქმედებას.

ერევნელებს კი ასეთი თავდამსხმელი ჰყავდათ. ეს იყო ოვივიანი. მისი კვალიფიციური თამაშის შედეგად დინამოელთა კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა (შეადარეთ ურუშაძისა და აბრამიანის დატვირთვა ამ მატჩში), რომელთაგანაც ერთ-ერთი გოლით დამთავრდა. სწორედ მის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია ურუშაძემ 71-ე წუთზე, მერე მეკარეს მოუხდა შეტაკება ეგიაზარიანთან და თავდამსხმელმა მაინც შეძლო ხელმეორედ უკუგდებული ბურთის ბადეში გატანა. თბილისელთა არც ერთი მცველი არ აღმოჩნდა ამ მომენტში სიახლოვეს, რომ დახმარება გაეწია მეკარისთვის.

არც დარჩენილ დროში გასჭირვებიათ ერევნელებს ბრძოლა “დინამოს” ფორვარდებთან, მით უმეტეს, რომ ხუციშვილი, ასათიანი, დათუნაშვილი და სხვებიც, როგორც წესი, კარგავდნენ ბურთს და შეტევას ქაოტურ გარღვევებზე აგებდნენ.

“ლელო”, 9 მაისი, 1966 წ.